

22.12.8

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
მუზეუმი

ნაძალადეო № 1

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
მუზეუმი

1908

მცირე

საზოგადოებრივი

თავმჯდომარე



შინაარსი

I—კოწო და კუწო.—ლექსი—შ. მდემელისა	3
II—მურას ამბავი.—ტყევისა	4
III—ერთი კუკის ზღაპარი.—სალხური, თ. რაზიკაშვილისა	12
IV—რა გვიამბო დედამ. —V კვა-ნახშირი.—(გაგრძელება, თარგმანი) ან. ჯიფასხურისა	15
V—ტოროლა და მისი ამხანაგები მინდორში.—ვაგნე- რდან, ნ. თ.—ისა	18
VI—სამოთხის ჩიტი.—მ. ვაგნერისა, დ. ეიფიანისა	21
VII—ა) გამოცანები,—ბ) რებუსი და აღსნა	24






წელიწადი 89-IV.

№ 4

თავგადასარი 1908 წ.



აი ესლაც ზეზე არის,
გვიპატიუებს უცნობ ძმასა:
მოაწმინდაში წერილსა სწერს
ზაწაწინა ბიძინასა.


ზ. მღვიმელი

შინაარსი

- I—კოწო და კუწო.—დექსი —მ. მდგომელებისა 3
- II—მურას ამბავი.—ჩქეიტისა 4
- III—ერთი კუკის ზღაპარი.—ხაღხური, თ. რაზიკაშვილისა . 12
- IV—რა გვიამბო დედამ.—V ქვა-ნახშირი.—(გაგრძელება,
თარგმანი) ან. აშილასხერისა 15
- V—ტოროლა და მისი ამხანაგები მინდორში.—ვაგნე-
რდინ, ნ. თ.—ისა. 18
- VI—სამოთხის ჩიტი.—მ. ვაგნერისა, დ. უიფიანისა 21
- VII—ა) გამოცანები,—ბ) რებუსი და აღსნა 24



კოწო და კუწო



ოწომ კუწოს გადსძახსა, —
გახსილე, კუწო, თვალი?
ერთი მითხარ, გენაცვალე,
როგორა გეპვს დედოფალი?

ქალო, რაღა როგორა მეპვს,
ივითხება კიდევ განა!
წუსელ, სანამ არ ისწავლა
ნუცხს სკოლის ანაბანა,


არც დაწვა, არც დაიძინა,
აღარც თუ მე მომხსვენა,
აჭიკჭიკდა მერცხალივით,
მოიქარბა ქორუბ ენა.

აი ესლაც ზესე არის,
გვინატიუებს უცნობ მძასა:
მთაწმინდაში წერილსა სწერს
ზაწაწინა ბიძინასა.

ზ. მღვიმელი



მურას ამბავი



ჰ, შვილო, აბა რა გითხრა, ანკი რას გუ-
ტევი იმისთანას, რომ ეგ შენი ნორჩი გუ-
ლი გაუხარო. ქვეყანაზედ ამ დროში კეთილი
მეირად მოიპოვება და ავი სომ შენ თითონაც
გეცმის. მე-კი უოვლად უღონო და ქვეყნისა-
თვის გამოუსადეგარი დედაპაცი აბა რაღა სა-
კითხი ვარ? დავანახალებ მეტ ბარგად დედა
მიწის ზურგზედ და უიჟედო, ქვრივ ოხერს,
უეცრად სული სადმე რომ ამომძვრეს, ჩემი ჰატრონი და ნუ-
გეში არავინ არის. ერთი წვა და დაგვით გამოკვებილი ძალ-
ლი მუაუდა, რომელიც ჩემს თავს მერჩიენა და იმასაც თვალ
ახვეულება მტერმა საწაძლავით ფეხები გააუშეკინა. ვაიძე, ჩე-
მო მურა!— ჩაიზმუკუნა გულ დაწვევებით ახლად ჩამოსუღმა
დიდედამ და დანაოჭებულ ლოყებზედ მსხვილი ცრემლები გად-
მოსცვივდა.

— რას მეუბნევი, ნუ თუ მართლა ჩვენი მურა მოკლეს?!
მერე რისთვის, როგორ? მიაძბე, გენაცვალე დიდება.— შე-
ვეხვეწე ამ ამბით შეძრწუნებულმა და თან სწრაფად თავი დაბ-
ლა დავლუნე, რადგანაც ვგრძნობდი, რომ დიდებას ტირილ-

ზედ, მეც ცრემლები მომდიოდნენ, მხოლოდ მათი ჩვენება მისთვის, თითქოს მრცხვენოდა, მეძნელებოდა.

— დედა, დედა, რა გონიერი პირუტყვი იყო და რა გონიერულადც მოკვდა! დამწვა სწორედ იმისამ საცოდაობამ, მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ შველას ვერ ვაძლევდი, — წარმოსთქვა გაცხებით დიდებამ, ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო: — წარსულ ჰარასკევს სამინელი ბნელი ღამე იყო. ცა უკეპურად, დიდხანს იცრემლებოდა. ის იყო მე და მურამ ძროხები დავაბინავეთ და როდესაც საბძელთან თივის გამოხატანად გამოვეტრიალდი, მურამ უეცრად შექექვა და გაშმაგებული ვუფხვივით ღობეს იქით გადაეშვა. ეჭვი არ იყო, რომ ქურდები ვენახში ადრიან ჩასაფრებულიყვნენ და ღობის იქიდგან თვალს გვადევნებდნენ, მაგრამ მაშინ-კი სრულიად დავრწმუნდი, როდესაც ვენახის თავში კარებმა ძალით შეიჭრიალა და ბრგა-ბრუვით გაცვივნულებმა მეტი სიჩქარით ხმელ სარებს ლაწა-ლუწი აუყენეს. მივხვდი, რისთვისაც კასჯილიყვნენ ეს სტუმრები, მივხვდი. და პირველად შიშმა ისე ძალიან ამიტანა, რომ ერთ ალბას გაქვავებულს სანათი ხელში ამიკანკაღდა, მეორე ხელში საბძლის კასადები და დაბლუჯული კაბის კალთები უნებლივ ხელიდგან გამომეცალა. თან მთელი ტანით ამიკანკაღა, მინდოდა ვისთვისმე დამემანა, მაგრამ ენა აღარ შემორჩილებოდა, მხოლოდ, როდესაც გარშემო მიმოვიხედე, მიშმა უფრო თავსარი დამცა: ცა შავი ღრუბლებით მოქუშულიყო და უკუმ-ბნელში გახვეული სოფელი ისე იყო სულ განაბული, რომ უდაბნო გეგონებოდა... მაგრამ მალე თავი შევიკავე, რადგანაც ძამაცობა და გულადობა თუ გააწეობდა რასმე, თორემ შიშით ხმის ჩაწევეტა და მოკრუნისკა სულმდაბალ ქურდებს უფრო გაამხნევებდა. გამიბრინა თუ არა თავში ამ აზრმა, უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე, ძაღდატანებით საბძელს მივუახლოვდი და რაც ძალა და ღონე მქონდა შევძახე:

სა... ჰა,—მურა, დაიჭი ეგ შეჩვენებულები, საჭაა... ამ საჭასთან ერთად მინდოდა ვაჟეცური გაშტვენით ჩემი ერთ-გული მურა გამეძნეეებინა, მაგრამ ეს ოხერი უებილო ტუჩები დაფხრეწილი საბერველივით აქმიტინდენ და აბა რას გავაწეობდი? აღარც საჭირო იყო, რადგანაც მურას ამ დროს ქურდები ისე შორს გაერეკა, რომ მისი ეეფა ძლივსღა ისმოდა. რა მეშველებოდა, მურა რომ არა შეოლოდა, ჩავიბუტბუტე დამშვიდებულმა და ის იყო სასლში ამოვედი, როდესაც ჩემი მღევივით მურაც, დაღლილ დაქანცული, ქმნით ამოვარდა და გამარჯვებულმა სიხარულით ხელების ლოკვა დამიწყო, თითქოს მამშვიდებდა, ნუ გეშინიან, შორს გავრეკეო. ვაჭამე ზური საწეაღს და როგორც ვუთხარი, ჯერ მთელ შიდამოს დარაჯვით შემოუარა და შემდეგ ბოსლის კარებთან მოიკა-ლათა. მეც მაგრე ჩავკეტე კარები და საძილედ გავეძნადე, მაგრამ ვის ეშმაკს მოუვიდოდა ძილი? ანკი რა დამაძინებდა, როდესაც თვალწინ სულ ის ძელანდებოდა, რომ ერთგული მურა ქურდების ეშმაკობას ვერ წაუვიდოდა და უთუოდ ან სან-ჯლით თავს გაუხეთქავდნენ, ან საწამლავს მიუგდებდნენ, ჩემს ძროხებს ცემა ტეპით გაირეკავდნენ და დავრჩებოდი, მე უბედური, ოთხ კედელ შუა ძარტოდ ძარტო და გამოერეუბული. შუა დამეძინა ამ ფიქრში და ვაი ვაგლახში გავატარე და ბოლოს დაღლილ-დაქანცულს როგორც უნდა თვალი მიმეძულა, უეცრად მურამ ხელ ახლად შეჭეუვა და გააფთრებული რაღასაც მივარდა. შიშით გულ გადმოვარდნილს ერთს წამს ჭირის ოფლმა დამასსა. ვაიძე, უნატრონო ქვრივ ოხერს აღარ მინდოებენ მეთქი, წამოვიძახე კანკალით და სხვა რომ ვერაფერი ვერ მოვასერხე, დიდ კეტს ხელი წამოვაგლე და რაც ძალი და ღონე შემწევდა კარებს ბრაგა-ბრუგი აუტეხე, თან გამა-ლებული ხან ბოს ხმაზედ და ხან ჩემებურად ვწოგობდი, რომ გამეგებინა, ვითომდა ძარტო არ ვიყავ და არაფრის შიშიც

არ მქონდა. არიქა ზაქარო, თოფი მანდა ძევს, ბუხარბან, იქიდგან მოუარე, სოსე შენც ბოსლის კარებიდგან, არიქა ჩქარა, ჭაი. მაგათი სახელი გაწედე, დაკათ და ერთს ცოცხალს წე. გაუშვებო, არიქა ჩქარა... ვწიოკობდი გაბუთრებული და თან კარებს და იატაკს ძალზედ კეტს ვუშენდი. ამ ტუეილ დაიძე დებაში მართლა ისეთი გული და ძალა მომივიდა, რომ შიში ერთ წამს გადაძავიწედა, მივარდი გაკანასკნული კარებს, ფიც-სლაგ გავაღე, შევძახე მურას და ახლა კიბეებს დავუშინე. უნდა გენახა, რა სმაურობა ავტეხე: მურა ჭეუფდა და მის გამძაგებულ ეეფას მთელი უბნის და სოფლის ძაღლები ეალეზედ დაეეენებინა. ღმერთმა დიდი დღე მისცეს, ახლა აბელანთ ვასოც ამ სმაურობასედ გარედ გამოვიდა და ერთი ისეთი სმა ძაღლა გაუშტვინა, რომ ქურდი კი არა თვით ეშმაკებიც დაფთხებოდნენ; თან ჩემი წიოკობა რომ გაიგო, შემომეკათხა „რა ამბავია“.

— რაღა რა ამბავია ადამიანო, მაგ შეჩვენებულმა ქურდებმა ლამის თავ-პირი მომაჭამონ, ე რაღაც ორი საწყალი ძროხა აღრძვია, მოსვენებას არ მაძლევენ, მაგრამ რომ დაიხოცნონ, ჩემი ცოცხალი თავით არ დავუთმობ მეთქი, — ვუჭასუსხე სრულიად გამსწევებულმა, კიბესედ ჩამოვირბინე და ახლა დარბაბებს ავუტეხე ბრავა-ბრუკი.

„ჭაი მაგათი ჯიში კი ამოვარდა, კაი ხალხნი ეგენი არიან! თუ კაი ბიჭები არიან, ერთი თვალთ დაძენასონ და მაშინ უეურონ თავიანთ სეირს“, — დაიწყო ევირილი გაჯავრებულმა ვასომ და თან გაჭკიოდა: „საჭა.. აა.. მურა, არიქა დაიჭი წარბა, დაიჭი, იუ“!..

ამ წიოკობასედ და სმაურობასედ გაგიხარაან იკადრეს დაფრთხობა ქურდ-ბაცაცებმა და ვინ იცის თავ პირის მტვრევით რომელ სევში გადაცვივდნენ, რადგანაც ჩემი მურას ეეფა ძორს სოფლის თავიდგან ძლივსლა ისმობა. ესე და ამ გვარად გადა-

ვარჩინე ძროხები მოჰარვას, გავათენე როგორც იყო და, იბაჟ-
რბაჟ თუ არა, ვიფიქრე ესლბ ვერაჟინ გაბედავს მოსკლას
შეთი, მაგრამ დასე უბედურობას! მივდე ბაღიშხედ თავი თუ
არა, ასლბ უეცრად გულ-შემსარბვი სავილი შემომესმა და
ჯერაც დაუშვადებელ გულს ლახვარივით ეცა. ვაიძე ჩემო
მურა! შემოვიკარ თავში და გარეთ გამოვედი. იქვე კარებთან
ტომარხედ მწოლი მურა შესაბრბლისად სრიალებდა, კბილებ
დაკრეჭილს ცალ მხარესედ დორბლი გადმოსდიოდა. მურა,
ჩემო მურა, რა დაგემართა შე უბედურო, ჩავკითხე შემინე-
ბულმა და თავსედ სელი გადავუსვი. იძასაც კვლავინდებურად
უნდოდა კუდის ქნევით ალერსი გამოეცხადებინა, მაგრამ სა-
ბრბლო უეცრად კანკაღმა აიტანა, ერთი მწარედ ამოაქლუშუნა
და ცრემლებით სავსე თვალეი გულსაკლავად შემომანათა.

ვაი ჩემს თვალეს, მურა, ჩემო მურა, მოგწამლეს განა,
რბა მეშველებს! — წამოვიძახე სასოწარკვეთილებით და რბის-
თვის შევარდი, მაგრამ ამაოდ, რბე ვეღარ დალია, ის ოხერი
საწამლავი კი თან და თან ერეოდა.

ამ გულის სეთქვაში და ვაივავლასში კიდევ გათენებულიყო.
სალსი ფესსედ იდგა. მე ერთ წამს მთელ უბანს მოვედე, და
ვაცნობე ჩემი ამავეი და ეველას შველა ვთხოვე. უნდა გენახა,
როგორ შესწუსდნენ ჩვენი უბნელები, რადგან აკი კეუბნეი,
ისე უვლიდა მთელ უბანს, როგორც კარგი ეარბული და იმ
დროს, როდესაც მთელი სოფელი აკლებული იყო ქურდობით,
ჩვენ უბანს ერთი ქათმიც არ დაჰკლებია. მაგრამ რა გამო-
ვიდა ვინც კი მოვიდა, ეველამ ისა სოქვა, მალე გაცოფდება
და უძანში უეჭველად რბე უბედურობას დააევენესო. საწვალე
მურა კი ეველას სათითოდ გულ საკლავად შესწვანოდა, თითქო
შველას ევედრებოდა და თან საცოდავად სრიალებდა. „ამას,
ნატალია, ის და დარჩენია, რომ თოფით სული გავაერეინოთ
თორემ აბა ტეუილად ეწვალე, საწვალე და მერე ცოფიც რომ

მოედოს, მაშინ გვიანდა იქნება“ — მიწისა ვასომ და მის ასლო მიწოხებულ ძაღლს განსედ გაუდგა. ამის გაგონებასედ მურამ ისეთი გულსაგლავად წკაპ-წკაპი ასტეხა და ისეთი თვალებით შეხედა ვასოს, რომ დავიწყით იმისი ცოდვით. საკვირველება ის იყო, რომ ჩვენი ლაპარაკი ისე ესმოდა, როგორც ადამიანს.

ჰე, რაღა ბევრი გაგიჭრელო, შენც სომ კარგად იცოდი იმასი გონიერება, მხოლოდ იმას-კი გეტყვი, რომ მოკვლა ვერას გზით ვერ გადავწყვიტე. მეორე დღეს საბრალოს ძალა სულ გამოვლია. იმისი მძლავრი ეფუა უსმო სრიალად შეიცვალა ვისაც კი დაინახავდა, ეველას ზედ ეტანებოდა და თითქოს თავს აბრალებდა. წარმოიდგინე რა სურათს შეგეფეთე: რმე რომ გადმოვდგი ცეცხლიდან, საჩქაროდ ერთი ჯამი მურასათვის გავაძიე და გამოვედი, რომ რაგორმე დამეღეინებინა, მაგრამ, ჩემდა განაკვირველად, მურა ბაღკონსედ აღარ დამიხვდა. საწყალი როგორდაც მიოს ჩაცოცებულიყო და მარნის კარებთან ჩვენ კატას შესწყმეტუნებდა. კატაც წელი კნავილით გარს უვლიდა, ხან წინ მოუსკუპდებოდა და ფეხებს ულოკავდა. ამის დანახვასედ სომ, ერთი სიტყვით, ცეცხლი მომეკიდა, საბრალო ძაღლი უბედურად იტანჯებოდა, მის ტანჯვას კატაც კი ისე თანაუგრძნობდა, რომ მწარი კნავილით და ფეხების ლოკვით თითქოს ცდილობდა ტკივილები გაექარწელებინა. მე კი ჩემი ერთგული მურასათვის შეველა ვერა გზით ვერ მომენახა და ეს უფრო მკლავდა.

წავალ მთელ სოფელს მოვირბენ, იქნებ იცოდნენ რამე, წამალი მეთქი, გავიფიქრე და ერთს წამს ვასოსთან ჩამოვირბინე, რომ სოფელში გამეგზავნა. დასწყევლოს ღმერთმა, ის ორი დღე ჩემთვის თითქოს წამება იყო. მურას საუბედუროდ, გამოხერხეტებულს, აკი მარნის კარები ღია დამჩქნოდა! სანამ დაგბრუნდებოდი, მარანში ქათმები შესულიყვნენ და ამბრის თავსედ სონხით სორბალს დახვეოდნენ, მიოს გადმოკვდიო

და წელის კოკა ნაჭუჭებით ექციათ. ამ სმაურობაზედ თურმე მურა, ვითომ ქათმების დასაფრთხობად, როგორც იცოდა, მარანში შეცაცებულყო: უბედურს ფეხი ასცდომოდა, თუ რა ვიცი - როგორ მოსვლოდა, თავ ღია ცარიელ სამკოკიანში ეიწმალა ჩავარდნილიყო და შიგა წკავ-წკავებდა. იმის ეუფაზედ აბელანთ ზატარა წარბა შესულიყო, თავს დასდგომოდა და ჭეუფდა გამაღებული. რომ დავბრუნდი და წარბას ეუფა ქვევრის თავზედ შემომესმა, გამოერეებულს ასე მეგონა, საცერ დავარებულ გადასაღებ სუთ კოკიანში ჩამხრჩვალა მეთქი და კინაღამ გული შემიწუსდა. შევარდი ფეთიანივით და, როდესაც დავრწმუნდი, რამიაც იყო საქმე, ერთ წაშს ისევ გამოვ-



ტრიალდი, ვასოს და ზაქარას დაუემახე და რის ვაი-ვაგლა ხით კუდათ ძლივს ამოვათრეინე ცოცხალ მკვდარი ძაღლი.

მაგრამ რაღა იქნებოდა? ბარემ ი რაღაც წამალი ვიშოვნე, როგორც იყო ჩავასსი, მაგრამ შენი მტერი, რომ იმას აღარ ეშველა რა და სულ არ გასულა ნახევარი საათი რომ უყვები გაუძიება, საწვავი ჩემი მურა! ისეთი ამავი ჰქონდა ჩემსედ, თორემ... განა შენ არ იცი? წიწილების გაზრდა იყო და ისე თვალუერს ადევნებდა, რომ ერთ ევავს და კაჭკაჭს გვერდსედ არ გაატარებდა. სავენსედ გაძლილ ჰურს ეარაულად მუდამ ის უჯდა, პროსების დაბინავება ზომ ჩემსედ კარგად ეხერხებოდა. ერთს კი წამოუვლიდა და იმდენს იხამდა, რომ შერეკავდა ბავში და უწვა კარებს წინ, მანამ მე მივიდოდი. მეც ისე მიუვარდა და ვაფასებდი, რომ არ დაიჯერებ, ორივე ძროხა რომ ერთ დღეს დამხოცოდა, ისე არ ვინაღულებდი, როგორც იმ ძაღლს. რაღას ვიხამდი, ქურდობა დიდი იყო და მე კი ჰატრონი აღარ მეავდა. მეც შიშის გამო ავდექი, პროსები სანახევროდ სხვაგან გავაბარე და შენსკენ გამოვწიე, — დაამთავრა დიდუდამ თავისი მურას ამბავი და ცრემლები ისევ გადმოუარა.


ცქვიტი





ერთი კუჭის ზღაპარი

(ხალხური)



ყო და არა იყო-რა, ღვთის
უკეთესი რა იქნებოდა, იყო
ერთი კაცი და დედბაცი. ერთი
პატარა ქალი ჰყავდათ. ერთხელ
ქალი წებლზედ გაგზანეს, თვითონ ქალის მოსვლამდე ერთი ვა-
რიკა დაკლეს და მოხარშეს. ქალი გოგოებში გაერთო წყაროზედ;
დედ-მამა ელოდა, ელოდა, ჰური მოშივდათ, გული გადაელბათ,
ადგნენ და ვარიკა შესწამეს. ქალს კუჭი და თავი შეუნახეს, პატარა
თევზზე დააწვეს და კიდობანში ჩადგეს. ქალსაც მობეზრდა გოგოებ-
ში თამაშობა, მოშივდა კიდევ, წამოიღო სურა და წამოვიდა შინა.

— დედა, ჩემი კერძი სად არის...? იკითხა ქალმა.

— კიდობანშია, შვილო, შედი, გამოიტანე და შეექცე, უთხრა
დედა.

გოგო შევიდა, მაგრამ ვაი უბედურებაჲ! ხანდა თუ არა კიდობან-
სა, კუჭმა გააღო ჰირი, გადაელაპა ქალი და თვითონ კუნჭულში
მიჯდა.

ზის არსეინად ძაძღარი კუჭი ჰურის კიდობანში და მღერის:

მე ვარ კუჭი ბატონი,
მთელი ქვეყნის პატრონი,
კიდობანში თბილად
ვსივარ, ვმღერი ტკბილად.
პატარა ქალს უნდოდა
სადილად შეველაპე,

მაგრამ ის რას მიხამდა,
 ისევ მე გადავუღაზე.

მეზობელს იმათი ზურები ეძრთა, გამოეცხო და სესხი
 მოუტანა:

— აჰა თქვენი ზურის სესხი! დედამთილმა, — დიდი მადლო-
 ბელი ვართო.

— შეიტანე, შვილო, შენს განარებას, ნუღარ ამაყენებ,
 კიდობანში ჩააწეე, მისძახა დედაკაცმა.

მიიტანა მეზობლის ქალმა, ახადა კიდობანს... გააღო ზი-
 რი კუჭმა და გადაუღაზე მეზობლიანთ ზატარძალი.

ზირი მოიწმინდა, დაჯდა ისევ თავის კუნჭულში და ძღერის:

მე ვარ კუჭი ბატონი,
 მთელი ქვეყნის ზატრონი,
 კიდობანში თბილადა
 ვსივარ, ვძღერი ტკბილადა...
 ზატარა გოგო შევეღაზე,
 ზატარძალიც გადავუღაზე.
 ვახშობამაც მოატანა.

კაცმა უთხრა, — დედაკაცი, შედი ზურები გამოიტანე, გვიან-
 შოთო. შევიდა დედაკაცი ზურების გამოსატანად, ახადა კიდობანს.
 გააღო კუჭმა ხახა და დედაბერი კი გადაუღაზე.

ზის კუჭი კიდობანის კუნჭულში და ძღერის:

მე ვარ კუჭი ბატონი,
 მთელი ქვეყნის ზატრონი,
 კიდობანში თბილადა
 ვსივარ, ვძღერი ტკბილადა.
 გადავუღაზე ქალიო,
 მერმე ზატარძალიო,
 ახლა ეს დედაბერი
 მჭლე და გადამწვავალიო!

ელოდა ბერიკაცი, ან ახლა გამოიტანს სესხში მოტანილ
 რბილ ზურებს, ან ახლაო, მაგრამ ვეღარ ეღირსა. ადგა და მივიდა
 კიდობანთან. რა ღმერთი გაგიწერა, ადამიანო, სადა ხარ,

ესლა აცხოვრობ, თუ რა არის შენ თავსაო? დედებერი არსადა ჩანდა, ახა-
და კიდობანს, მაგრამ ამ დროს კუჭმა პირი გააღო და ისიც გადაუ-
ლანა. კიდობანის თავი ახდილა დარჩა. კატას თბილი ჰურის სუნის
ეცა და კიდობანში ჩასტა. გააღო კუჭმა პირი და ისიც გადაულანა.
დარჩა კუჭს ბურთი და მოედანი, სახლაცა და კარიცა. ამოგორდა
მეორე დღეს კარსედ და ძხის გულსედ წამოწვა თბილად, თან
ხვნემოდ და სიმამღრით სვითქი გადსდრიოდა. თავის თავი
მარტოდ-მარტო ეგონა ქვეყანასედ ბატონი. თან თავის ძველ
სიმღერას მღეროდა. ამ დროს გამოჩნდა ერთი თოხიანი გლეხი
კაცი, სიმინდში მიდიოდა. კუჭმა რომ დაინახა გაესარდა, — ამასაც
ძვეულანაჲო, გაგორდა გლეხკაცისკენ, თან ტრახანობდა:

გადაულანაჲ ქალიო,
მერმე ჰატარძალი,
ახლა ამ გლეხკაცს შეველანაჲ
დაუდგება თვალიო.

მაგრამ გლეხკაცი განსედ გაუდგა, დასცხო თოხი და ბუშ-
ტივით დაამახა. გასკდა კუჭი და გამოვიდნენ უჭირველად ჰატარა
ქალი, ქათმის თავითა და კუჭით ხელში, იმას გამოჰყენენ კაცი
და დედაკაცი, მერე მესობლიანთ ჰატარძალი, ბოლოს კნავილით
კატა. ასეთი იყო გაუძაძარი კუჭის ბოლო. **თ. რაზიკაშვილი.**





რა გვინახო დედა

(თარგმანი. გაგრაძელება)

ვაგნერისა

№ 33-ნახშირი



მაწილები უკედ შეიქნენ, და ექიმმა გაახარა, მისცა ნება ადგომისა და იმ ოთახშივე ეოფნისა, სადაც ბუხარში ღამასად ენთო ქვა-ნახშირი. დედის შემოსვლასე შეილებმა სთხოვეს ეამბნა რამე ქვანახშირის შესახებ.

— ქვა-ნახშირის ამბავი ისეთი გრძელია, რომ ვაი თუ ბოლომდინ ვერც კი დაშიგდოთ ეური და ჩაგუძინოთ, ცოტაოდენს-კი მაინც გიამბობთ; მრავალმა ათასმა წელმა გაიარა მას აქეთ, რაც დედამიწასე იუო დიდი დაბურ-ეული ტეეები იმასთანა სეებისა, რომელთაც ევაგილი არ ქეონდათ. უცნაური სეები იუო იმ ტეეში, სოგს ფოთლის მაგიერ ეკლები ესსა, სოგი მეტად მაღლები ისრდებოდნენ, უფოთლოდ და უტოტოდ და მარტო წვეწში ესსათ ფოჩივით დიდ-რონი ფოთლები. ამ ტეეებში მოდიოდა აგრეთვე მრავალი ღელი და ბალახი; ეს მცენარენი სეებივით მაღალი ისრდე-ბოდნენ.

ტეეში სუფევდა სრული სიმშვიდე: არ ისმოდა სმა ფრი-ნეელთა და ნადირთა, არც კაცი მოდიოდა სეების საჩესად. მხოლოდ ქარს გაჰქონდა სეებში შრიალა, და სანდასან ბაე-ეის მდინარეში ჩასტომა არღვევდა სიჩუქს.

განვლეს საუკუნეებმა. აბა ვნახოთ, რა არის ესლა იმ ალაგს, საცა ოდესმე ის სშირი ტეეები იუო. აი რას ვხედავთ:

ქარსნებს დიდრონ საკვამლეებით, საიდნაც ამოდის შავი კომლი, და მრავალი ჩარსებით. ჰატარა, ნახშირით სავსე, ვაგონები მაღი-მოდიან რელსებზე ჰატარა ორიქლმავალის შემწეობით; მას მიხედვენ მხარ ბეჭიანი ღონიერი მუშები, რომელთა ტანოსაცმელი და ცხვირპირი შავად გათსახნილია ნახშირის მტვრით. აქ ერთი ხეც აღარსად მოჩანს. ჩაშავებული ბაღახი მიწის პირს ვერ ასცილებია. აბა ჩავადეთ იმ ძაღროში, რომელიც აქ არის ღრმად ჩათხრილი. ჩავსდეთ ამ გალიაში, რომელიც მიმაგრებულია ჯაჭვით დიდრონ ჩარსებზედ; როდესაც ძაღროში ჩავეშვებით და გადმოვალთ, ცოტა ხანს ვერას დავინახამთ, ისე ბნელა; მაგრამ, თუ შემაღნე ლამპარი გვათხოვა, დავინახავთ, რომ ვიძოფებით მიწურ დერეფანში, რომლის კედლებიც ქვანახშირისაა, ჭერიც და იატაკიც. აქეთ იქით მრავალი ქუჩებია შეთხრილი, როგორც ქალაქებში. — ზოგი მათგანი ძალიან დაბლებია, და იქ მხოლოდ დახოქილი მუშაობს კაცა, ანუ მწოლარე; — ამ საძიძო მდგომარეობაში უნდა იმუშაოს, უბედურმა და ამტვრიოს ნახშირი თავის წერაქვით.

თუ ქვა-ნახშირი ძეგარია, სძირად თოფის წამლით აფეთქებენ და დიდრონ ბელტებს გადმოაწვენენ. ნახშირს ჭერიან კალათებში და, ცხენებით გააქვთ სევით ამავედ გალიაძე და მერმე სევით აიტანენ.

— შე არ მესმის, დედა, — მიუგო ემამ — რა აქვს საერთო იმ საოცარ ტყეს, წელან რომ ახსენე ამ ნახშირთან?

— ვიცოდი რომ ვერ მიხვდებოდი. ის საოცარი ძველი ტყეები რომ არ ეოფილიყო, არც ნახშირი გვექნებოდა; იმასა ვწვავთ ბუხარში, იმითი ვხარშავთ სადილს, და ვხმარობთ ორთქლმავალის და სხვა მანქანების ასამომრავებლად. იმასივე კეთდება სანათი გაზი. ქვანახშირი ხეებიდან ჩნდება, იმ ტყეებიდან, რომლებიც მიწაში დაფლულნი იყვნენ საუკუნეთ განმავლობაში. როცა მოახდებით, წაიკითხავთ ბევრ საგულისხმიერო წიგნს და გაიგებთ, როგორ გარდიქმენ ტყეები ქვა-

ნახშირად, რაღა ძეგს მიწაში ასე ღრმად ქვანახშირი და რად გვინათებს, და გვათბობს.

— დედა, თუ ძაგისას ვერას გავიგებთ, იქ ცხენებისა მანც გვიამბე რამე, რომელნიც მანებში მუშაობენ; ნუ თუ იმათაც უოველ დღე ჩაუშვებენ სოლმე გალიებით იმ სიღრმესუდ?

— არა, აბა! ის ცხენები უოველთვის იქ, მაღაროებში ცხოვრებენ: თაფლები საჭმელი და სასმელი აქვთ, მაგრამ სპირად ბრძაყდებიან სიბნელისაგან.

— შენ არ გინდა, შემადნე იუო, დედა? — შეეკითხა დაფიქრებული ნორმანი.

— სულაც არა, ჩემო ბიჭიკო. ძალიან საშიშია მთელი დღე სიბნელეში ეოფნა, და დიდ განსაცდელშია ცარიან შემადნეები, ხან წედი შეუკარდებთ სოლმე, და ახლობს საბრძოლო მუშებს და ცხენებს, ხან ნახშირის გასი ჭხოცავს სწავას კიდეს, თუ აენტო. ბევრჯელ ნახშირის ზვავებიც ჩამოწვება და თან მოიტანს ხალხს, ან უსძობს გამოსავალს. გვმართებს, ხან და ხან მოვიგონათ სოლმე ის საბრძოლო მუშაგნი, რომლის შემწვობით ჩვენ ასე თბილადა ვართ და გულით ვუსურვოთ მათ თაფიანთ მძიძე ცხოვრების გაუმჯობესობა.

ან. ამილახვრისა

(შემდეგი ივნება)





ტოროლ და მისი ამხანაგები მინდორში

ვაგნერიდან



ამემ მინდორებს თავისი შავი სუდარა მოხსვია. ვუკება მინდორში სრული სიწუნარეა, რომელსაც მხოლოდ ნახა ახლად ამოსული ფოთლები ოდნავ არღვევენ შრიბლით.

მაგრამ აგერ ინათლა. იღვიძებს მზე და თავის ზირველ სსივს ღრუბლებს უგზავნის.

მინდორში რადაც ფათურია, ტოროლებს წვეილი იღვიძებს, რომელსაც ღამე მეუდრო ადგილას გაუთევია. გაიღვიძა მამალმა ასტა იქვე ზატარა ქვასე და დაიძახა: „დილა მშვიდობისა“!

„დილა მშვიდობისა“! უპასუხა დედამ და ეროძანეთს სამშობლო მინდორში დაბრუნება მიულოცეს: აქ დაიბადნენ და ზირველი სიემაწვილეც აქვე გაატარეს.

მხოლოდ გუშინ დაბრუნდნენ ესენი სამშობლოში. შემოდგომას ტოროლები სამხრეთისაკენ გაურინდნენ, თბილ ქვეყნებში.

იქ გაატარეს მთელი ზამთარი. ვინც უფრო მარჯვე იყო, ძალიან შორს ზღვამდის ჩავიდა.

ჯერ ერთიც არ დაბრუნებულა ჩვენი მკალობელი, ტოროლები ზირველნი გახსდნენ.

ტოროლამ ფრთები შეისწორა, გაიწმინდა, მერე გაძალა და მხიარული ქივილით ძაღლა აფრინდა.

მიფრინავს მადლა, მადლა, თითქო სურს ჰირველ მზის სხივებს შეეხოსო. ბოლოს სულ იკარგება დილის სუბუქ ღრუბლებში. მაგრამ იქიდანაც ისმის იმისი ტკბილი სიმღერა; ბევრს ვერ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება: ზოგი დიდ ფრინველების მსხვერპლად გახდა, ზოგი ადამიანებისა.

ამ ზამთარს ზოგმა ამ ენების ჰატრონმაც მიიძინა. სამუდამოდ მოიხვენა მძიმე შრომის შემდეგ. ტოროლა კი ზევიდან დასტრფიანებს იმავე ენებს და სიუვარულს, გასაფხულს და ბედნიერებას გალობს. სიცოცხლე იმარჯვებს, მწუხარება გასაფხულის იმედებს კ'სას უცდის, ღამის სიბნელე იფანტება ტოროლას გალობის წინაშე. გასაფხულის მახარობელია ტოროლა, მიჭფრინავს მადლა-მადლა სინათლისკენ, მზისა და ლაქვარდ ცისაკენ.

ბოლოს გალობით გამაღმარი მსაბრუელი სირი ძირს ეშვება, ჯერ ნელ-ნელა, მერე უფრო აჩქარებს, აჩქარებს და ბოლოს შურდულივით მიქრის ამწყვანებულ მიწისკენ.

ახალგაზრდა წვეილი ენაში დაბინავდა. დიდი მკნავერობის შემდეგ ტოროლები ცოტა ხანს ისვენებენ და მერე ბეჯიტად ათვალიერებენ თავიანთ სამოვლობელოს. დაბთვადიერებს მიდამო, საჭმელა. აქ ბოლოკის თესლი გდია, იქ ეახოსი. აი ახლად ამოსულ ბაღახს ჭია-ღუებიც ახვევია. ქაეოფილნი არიან ტოროლები: საჭმელი ეველას ეოვია ამ საფხულს.

შუაგულ მინდორში, კზის მოძორებით, იაოვეს ტოროლებმა ერთი ბეწო ორმო. აქ დააპირეს ბუდის გაკეთება. ორმოში გამძმარი ბაღახი, ფოთლები და ბუბული ჩააგეს და მომავალ ბარტებს რბილი საწოლი დაუმაღეს.

მოახლოვდა საფხული; დღემ იმატა; მზე მიწას უფრო და უფრო ახურებს. ტოროლების ბუდე სრულებით ჩაიმაღა ამოსულ ენაში. ერთი ტოროლა უკვე ზის თავის ჭრელ, მოწითალო, შავ წინწყლებიან და ხაზებიან-კვერცხებზედ. რამოდენიმე დღის შემდეგ ბუდეში ჰაწაწინების ჭეივილი გაის-


მის. დედ-მამა დიდიდან საღამომდე ბარტყებს საჭმელს უსი-
 დავენ. საბედნიეროდ მინდორში საჭმლის ძეგტი რა არის! ჰურთ
 შემოდის, ეველა ბაღასის თესლი მწიფდება. პატარა ფრინვე-
 ლებს ეოველი თესლი ახარებს.

მშობლები ნელ-ნელა ბარტყებს ფრენას ასწავლიან. რო-
 ცა ფრენას ისწავლიან, თითონ ისრუნებენ თავ. ანთ თავზე.
 ეახნოს თესლზედ ბარტყებს მთელი ნადიმი აქვთ. დააფრენენ
 შვილებს და ხელ-მეორედ ბარტყები გამოჰყავთ. ოჯახი სწრა-
 ფად მრავლდება; შემოდგომას ტოროლათა რიცხვი 5—6-ჯერ
 მეტია, ვიდრე გაზაფხულზე იყო.

აგრევე ცხოვრობენ ტოროლების ამხანაგები, სხვა მინ-
 დვრების ფრინველები. იქვე, ტოროლას მესობლად, მწვერი
 ბუდობს. მწვერი მხოლოდ მაისში დაბრუნდა თავის სამშობ-
 ლოში და მარიამობის-თვეში კიდევაც გაემკ'სავრა თბილ ქვე-
 ნებისკენ. მწვერს ძალიან ეძინიან ღამის სიცივესა, თუმცა სუ-
 ქანი ფრინველია. მწვერი ეოველთვის უფრო თბილ ადგილს
 ეძებს. სამთარში ეველა ჩიტებს შორს ის მიფრინავს. სში-
 რად ზღვის გადაფრენასაც ცდალობს, თუმცა მოკლე ფრთები
 აქვს და ტანი-კი მსუქანი და მძიმე.

6. თ.

(ზემდეგი იქნება)





სამოთხის ჩიტი

(მ. ვაგნერისა)



სამოთხის ჩიტი ძალადის კუნძულებზე ცხოვრობს. მეტად ღამაში ბუმბული აქვს, ზ მეტად გრძელი და მშვენიერი ფრთები. კუდს ორი გრძელი ბუმბული უმშვენებს; რომელნიც ოქროსავით ბრწყინალებენ და საუცხოვო, სანასავს წარმოადგენენ. ეს ბუმბულები ეოველ წელიწადს ცვდება, ხუნდება და სცვივა, ხოლო მათ ადგილას ახალი იზრდება, რომელიც ძველზე უფრო მშვენიერია.

სამოთხის ჩიტი ამხანაგებთან ერთად ცხოვრობს და ეოველთვის ხეების სშირ ფოთლებიან ტოტებში იმალება. იქ სხვა და სხვა მწერებსა და გარეულ ხილს ეძებს, და მათი ზირს იგემრიელებს. თან გაზაფხულით თვალუფრს ადევნებს, აქეთ-იქეთ იცქირება, — მახლობლად მონადირე ხომ არ არისო, და თუ შეამჩნია, სწრაფად გაფრინდება, ასე რომ მონადირეს სათვის ფრიად ძნელა იმისი დაჭერა, ან მოკვლა.

მგელ ბუმბუკს რომ იცვლის და ახლით ირთვება სამო-
თხის ჩიტო, თითქოს ამასთანავე სასიათსაც იცვლისო. თავის
თავის სიტუაციით და კეკლუცობით ტკბება.

ამ დროს სამოთხის ჩიტთა მთელი გუნდი ტყეში რომელ-
სამე სეხე იკრიბება, და, თითქოს ერთმანეთს აბობნებო,
ფრინავენ, ტოტიდგან ტოტზე სტიან ამასთანავე კუდის ბუმბუ-
კებს და ლამაზ ფრთებს, რაც შეიძლება ფართოდა შლიან,
თითქოს სცდილობენ თავიანთ სილამაზით და სიმშვენიერით
ერთმანეთს გადააჭარბონ. ასე შეექცევიან თავდავიწყებამდე,
საკვირველ, მხოლოდ მათთვის გასაკებ, სმებით ერთმანეთს
ეჭრებიან.

სწორედ ამით სარგებლობენ მონადირეები — შავკანიანი
ზანუასები.

კეკლუცობით და თავის საუცხოვო მორთულობით გატა-
ცებულ სიონს სრულიად ავიწყდება ჩვეულებრივი სიუხისლე,
და სიფრთხილე. ზანუასებს უკვე შორიდგან ესმით მათი სა-
კვირველი სმები და ცდილობენ, მასლობელ სეებს მიუახლოვ-
დნენ, და ფრთხილად მიეპარონ. ერთი მონადირეთაგანი ხეზედ,
ძვრება, თან შვილდ-ისარი მიაქვს და სშირ ფოთლებში იმა-
ლებს.

იქიდან, ფრინველთაგან უხილავი და შეუმჩნეველი, ისარს
სტეორცნის და ზედიზედ ჭსოცავს, სოლო მეორე ამხანაგი,
სშირსა და ძაღალ ბაღასში დამალული, ჩუმად აგროვებს და-
დასოცელ ფრინველებს.

დასოცელი სამოთხის ჩიტები ზანუასებს მიაქვთ ზღვის
ზირისკენ და იქ ეგროზიელებს უცვლიან სხვა და სხვა საგ-
ნებში.

ვეროპიელები თავიანთ ქვეყანაში ჰგზავნიან და იქ სამოთხის ჩიტის ბუძბუღით რთავენ ქალების ქუდებს, რომლებზედაც საუცხოვოდ დელავს და ბჴვევრიალებს ნაზი, ოქროსფერ ძაფებივით დამშვენებული ზატარა ჩიტუნის ფრთები და ბუძბუღები.

დ. ყიფიანი





გ ა მ რ ც ა ნ ე ბ ი

თუძცა, თუძცა, სამჯერ თუძცა,
კიდეშ გმტევი, გოგო ნუცა,
ძესუთუძცა მო ახსენებ,
ვერც ახლა სცნობ, გოგო, თუძცა.

ერთი სხელი ვერთულ-გული,
ურგანოდა აგებული,
დახმტევი იცა ადვილია,
არ სწირდება გვერდი-ცული.

რ ე ბ უ ს ი



აი ა ჯ მ რ ც ა ნ ე ბ ი ბ ა შ ი ვ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა ლ ს ნ ა :

- 1) ათი შაური და ორ კაზიკ ნახევარი.
- 2) დუ 2) ჯოსი.
- 3) რებუსის ახსნა. ფანჯარა გასაღები.

ყოველ დღიური გაზეთი

„ი ს ა რ ი“

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი:

წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—	7 მანეთი.
ნახევარი წლით	„ „ „ —4 მანეთი.
ერთი თვით	„ „ „ —90 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო
პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მომწერთათვის 5 მანეთი, ნახევარი
წლით—3 მანეთი. სამი თვით 1 მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის
გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში; „ნაკა-
დულის“ რედაქციაში და „იდეალის“ სტამბაში (კიკნაძესთან)
ნიკოლოზის ქუჩა № 6.

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“ ისიდორე კვი-
ცარიძესთან.

открыта подписка на 1908 годъ

на газету

ЗАКАВКАЗЬЕ

ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города.
на годъ 6 руб.—коп.	на годъ 8 руб.—коп.
на полгода. . . 3 руб. 50 ко	на полгода. . . . 4 руб. 50 коп.
Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое	

Тифлисъ Головинскій пр., д. Манташева, № 6.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.



მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადუ-ლი“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამუშაოთობით სადამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა. დამატებით, ესე იგი პნ წიგნისა რჩება ისევ ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მისალის გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუშანიშვილი.